აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ თავიანთი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

ფინანსური ვალდებულებები

საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებად: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები, მოგებაში ან ზარალში ასახვით, სესხები და ნასესხები სახსრები, ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განკუთვნილია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს. ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხებისა და ნასესხები სახსრების შემთხვევაში, ამას ემატება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები არ გააჩნია.

შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარების შემდეგ კომპანიის ფინანსური ვალდებულებები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს, აგრეთვე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით მნიშვნელოვანი სააღრიცხვო დარიცხული ამორტიზაციის პროცესში.

ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი დისკონტის ან შესყიდვის პრემიის, აგრეთვე საზღაურების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება ფინანსური დანახარჯების ნაწილში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობების ან ისეთი მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობების საფუძველზე, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია დაგროვილი ცვეთით, ან გაუფასურების ზარალით შემცირებული პირვანდელი თვითღირებულებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც სხვადასხვა სარგებლობის ვადა აქვთ, ისინი ცალ-ცალკე აღირიცხებიან, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონეტები. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით.

გრანტის სახით მიღებული, ნაჩუქარი ძირითადი საშუალებები აქტივად აღიარდება მათი რეალური ღირებულებით, რაც დასტურდება ქონების შემფასებლის ან აუდიტორის მიერ.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მისი მოხდენისთანავე მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნაშთის შემცირების მეთოდის საშუალებით. თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება აქტივის გამოყენების დაწყების შემდეგ. ძირითადი საშუალების სასიცოცხლო პერიოდი განსაზღვრულია შემდეგნაირად:

შენობა-ნაგებობა - 15-50 წელი

მანქანა-დანადგარები - 2-15 წელი

საოფისე აღჭურვილობა - 5 წელი

ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი

ტრანსპორტი - 5-10 წელი

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ აქტივის სასიცოცხლო პერიოდის მომსახურების ვადაში, ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის პოლიტიკის გადახედვა და კორექტირება, რათა აისახოს მიმდინარე შეფასება აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით.

ბიოლოგიური აქტივი

კომპანიის ბიოლოგიური აქტივი შედგება კვერხმდებელი ქათმებისგან. საწარმო წიწილების იმპორტს ახორციელებს საზღვარგარეთიდან. წიწილები ზრდასრულ ასაკს აღწევენ 20 კვირაში. კომპანია არ ახორციელებს ზრდასრული კვერცხმდებელი ქათმის ყიდვა-გაყიდვას. შესაბამისად, არ გააჩნია ინფორმაცია ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ქათმის სამართლიანი ღირებულების შესახებ.

კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საიმედოობისა და შესაბამისობის პრინციპების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია კომპანიის ბიოლოგიური აქტივის ალტერნატიული მეთოდით - ისტორიული ღირებულება შემცირებული აკუმულირებული ცვეთით - წარდგენა.
კვერცხმდებელი ქათმის სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 65 კვირას. ცვეთის დაანგარიშება წრფივი მეთოდით იწყება წიწილის ზრდასრულ ასაკში (კვერცხის დადების დაწყება) მიღწევისას - 20 კვირიდან.

ფასს (IFRS) 16 "იჯარა"

ა) აქტივის გამოყენების უფლება

კომპანია აქტივის გამოყენების უფლებას აღიარებს იჯარის დაწყების თარიღისთვის (ანუ იმ თარიღით, როდესაც საიჯარო აქტივი ხელმისაწვდომია გამოსაყენებლად). აქტივის გამოყენების უფლება თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით და შემდეგ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და კორექტირდება საიჯარო ვალდებულებების ყოველი ხელახალი შეფასებისას. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების და იჯარის დაწყების თარიღით ან თარიღამდე გადახდილი იჯარების თანხებს, რასაც აკლდება მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდები. თუ კომპანიას არ აქვს გონივრული რწმენა იმისა, რომ იჯარის ვადის ბოლოს მოიპოვებს საიჯარო აქტივის მესაკუთრეობის უფლებას, აღიარებულ გამოყენების უფლებით გადაცემულ აქტივებს ცვეთას არიცხავს წრფივი მეთოდით სავარაუდო სასარგებლო მომსახურებისა და იჯარის ვადებს შორის უმოკლეს ვადაზე. აქტივის გამოყენების უფლება ცვეთას ექვემდებარება.

ბ) საიჯარო ვალდებულებები

იჯარის დაწყების თარიღისთვის კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც გამოითვლება, როგორც იჯარის ვადის განმავლობაში გადასახდელი თანხების დღევანდელი ღირებულება. საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), შემცირებულს მისაღები იჯარის წამახალისებელი გადახდებით, ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე და თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით. საიჯარო გადასახადები ასევე შედგება შესყიდვის ოფციონის აღსრულების ფასისგან, რომლის კომპანიის მიერ აღსრულება საკმარისად სარწმუნოა, და იჯარის შეწყვეტისთვის გადახდილი ჯარიმებისგან, თუ იჯარის ვადა ასახავს კომპანიის მიერ იჯარის შეწყვეტის ოფციონის აღსრულებას. ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის მიბმული ინდექსზე ან განაკვეთზე, აღიარებულია იმ პერიოდის ხარჯად, რომლის განმავლობაშიც დგება გადახდის გამომწვევი მოვლენა ან გარემოება. საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების გამოსათვლელად კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღისთვის, თუ საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მკაფიოდ განსაზღვრული არ არის. იჯარის დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა იზრდება, რათა ასახოს პროცენტის ზრდა და მცირდება საიჯარო გადახდების შესაბამისად. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხელახლა ფასდება, თუ ხდება იჯარის ვადის მოდიფიცირება ან ცვლილება, თუ იცვლება არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები ან ცვლილება შედის საიჯარო აქტივის შესყიდვის შეფასებაში.

გ) მოკლევადიანი იჯარები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა

კომპანია იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს თავისი მოკლევადიანი იჯარებისთვის (ანუ იმ იჯარების შემთხვევაში, რომელთა ვადა, მაქსიმუმ, 12 თვეა იჯარის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და არ შეიცავს შესყიდვის უფლებას). იგი ასევე იყენებს დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის აღიარებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს დაბალი ღირებულების მქონედ (ანუ 5,000 აშშ დოლარზე ნაკლები) მიჩნეული საოფისე აღჭურვილობის იჯარის შემთხვევაში. მოკლევადიან იჯარებზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე საიჯარო გადახდების აღიარება ხდება ხარჯად წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

დ) განახლების ოფციონის მქონე ხელშეკრულებების იჯარის ვადის განსაზღვრა განსჯის საფუძველზე.

კომპანია იჯარის ვადას განსაზღვრავს, როგორც იჯარის შეუქცევად ვადას იმ ნებისმიერ პერიოდთან ერთად, რომელსაც მოიცავს იჯარის გახანგრძლივების ოფციონი, თუ საკმარისად სარწმუნოა ამ ოფციონის აღსრულება, ან ნებისმიერ პერიოდთან ერთად, რომლებსაც მოიცავს იჯარის შეწყვეტის ოფციონი, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მისი აღსრულება არ მოხდება. კომპანია განსჯაზე დაყრდნობით აფასებს საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ იჯარის განახლების ოფციონს აღასრულებს. ანუ, იგი ითვალისწინებს ყველა რელევანტურ ფაქტორს, რომლებიც მისთვის ქმნიან განახლების ოფციონის აღსრულების ეკონომიკურ სტიმულს. იჯარის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანია ხელახლა განსაზღვრავს იჯარის ვადას, თუ ხდება მნიშვნელოვანი მოვლენა, ან გარემოებების ცვლილება, რომელიც მის კონტროლს ექვემდებარება და გავლენას ახდენს მის უნარზე, აღასრულოს (ან არ აღასრულოს) ოფციონი (მაგ. ცვლილება ბიზნეს სტრატეგიაში).

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება მოიცავს ჯერ-ჯერობით განუსაზღვრელი დანიშნულების მქონე, მომავალში გამოსაყენებელი ან მომავალში საინვესტიციო ქონების სახით გამოსაყენებელ ხელახლა გასავითარებელ მიწის ნაკვეთებს და შენობა-ნაგებობებს. მიწის ფართობი შეადგენს 180,618 კვ.-ს, ხოლო შენობა-ნაგებობების საერთო ფართია 41,400 კვ.მ-ს.

საინვესტიციო ქონების ღირებულება აღირიცხება ცვეთის თანხით შემცირებული ღირებულებით.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ, რომელსაც გააჩნია შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და გამოცდილება. 2022 და 2023 წლებში ექსპერტმა შეაფასა საინვესტიციო ქონების ღირებულებაზე

ეკონომიკური და გეოპოლიტიკური მოვლენების გავლენა. ექსპერტის შეფასებით, აღიშნულ გარემოებებს ქონების ღირებულებაზე გავლენა არ ჰქონია 2021 და 2022 წლების საანგარიშგებო პერიოდისთვის.

საინვესტიციო ქონების ღირებულება აღირიცხება ცვეთის თანხით შემცირებული ღირებულებით

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოიხილავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, კომპანია ახორციელებს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება მოცემული აქტივი.

აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული წარმოადგენს აქტივების უმცირეს ჯგუფს, რომელიც მოიცავს მოცემულ აქტივს და წარმოქმნის ფულად სახსრებს უწყვეტი გამოყენების შედეგად, რომელთა მიღება, უმეტესწილად, დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფიდან ფულადი სახსრების მიღებაზე. აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს გასვლის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. აქტივის გამოყენების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების საშუალო შეწონილი კაპიტალის ღირებულებით დისკონტირებული ღირებულება.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომლის მიხედვით წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. მისი არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს მოცემული აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალის კომპენსირების შემთხვევაში იზრდება აქტივის საბალანსო ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს იმ საბალანსო ღირებულებისა, რომელიც მიღებული იქნებოდა წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში და სალაროში და მაქსიმუმ სამი თვის ვადის მოკლევადიან ანაბრებს, რომლებსაც აქვს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი. ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან და მოკლევადიანი დეპოზიტებისგან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, დაუფარავი საბანკო ოვერდრაფტების გამოკლებით, ვინაიდან ისინი მიიჩნევა კომპანიის ნაღდი ფულის მართვის განუყოფელ ნაწილად.

უცხოური ვალუტები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტაცაა. გარიგებები და ნაშთები უცხოურ ვალუტაში: განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაციაც ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსებით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსით. ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმოშობილი სხვაობები ასახულია მოგებაში ან ზარალში. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, გადაანგარიშდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას შესაბამისი აქტივების, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) საწყისი აღიარების დროს გამოყენებული სპოტ სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც კომპანია თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის არაერთი წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, კომპანია თანხის თითოეული წინასწარი გადახდისთვის ან მიღებისთვის ცალკე განსაზღვრავს ოპერაციის თარიღს.

მარაგი

მარაგები არის აქტივები, რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს და საწვავს.

მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასია. მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის ადგილზე მიტანასთან.

სავაჭრო ვალდებულებები და სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხებისა და კრედიტების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია შესყიდვის ნებისმიერი დისკონტის, ან ნამეტი თანხის, აგრეთვე საკომისიოების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში. ეს კატეგორია, ზოგადად, სესხებს ეხება.

ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების, ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში. ასეთი ჩანაცვლება, ან ცვლილება მიჩნეულ უნდა იქნეს საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთჩათვლას ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც იანგარიშება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული საგადასახადო ვალდებულება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები სრული შემოსავლის ანგარიშგების ადმინისტრაციულ ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“)

ამონაგები, ხარჯები და აქტივები აღირიცხება ბრუნვიდან გადასახადის გამოკლებით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

► როდესაც შეუძლებელია ბრუნვიდან გადასახადის, რომლის ვალდებულებაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვისას წარმოიშობა, დაბრუნება საგადასახადო ორგანოებიდან, ამ შემთხვევაში ხდება ბრუნვიდან გადასახადის აღიარება აქტივის შესყიდვის ხარჯის ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;

► როდესაც მოთხოვნების და ვალდებულებების აღრიცხული ოდენობა შეიცავს ბრუნვიდან გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი ბრუნვიდან გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა ვალდებულებების ან სხვა მოთხოვნების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშის დანერგვით. შესაბამისად, კომპანია ყველა გადასახადთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს დამფუძნებლის შენატანის რეალურ ღირებულებას შეტანის მომენტისთვის. აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება- ზარალს.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად და აკლდება კაპიტალს მათი გამოცხადების და დამტკიცების პერიოდში. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

► მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;

► ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;

► მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან

► აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ. ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

► მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;

► ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;

► დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან

► ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს. ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

ინდივიდუალურად შეფასებული დებიტორები

იმ დებიტორების შემთხვევაში, რომელთაგან მისაღები ანგარიშების ნაშთი 50 ათას ლარს აღემატება, კომპანია თითოეულ შემთხვევას ინდივიდუალურად განიხილავს და მხედველობაში იღებს სხვადასხვა ფაქტორებსა და ინდივიდუალურ გარემოებებს. აღნიშნული პროცესი ორი ძირითადი ეტაპისგან შედგება: კომპანიისთვის მისაღები ანგარიშების გადახდის ვადაგადაცილების დღეების საშუალო რაოდენობა; და] კომპანიისთვის ხელმისაწვდომი ნებისმიერი სხვა არაფინანსური ინფორმაცია, როგორიცაა ნებისმიერი სიახლე იმ საბაზრო სექტორთან დაკავშირებით, რომელშიც მოქმედებს კონკრეტული დებიტორი, ინფორმაცია ხელმძღვანელობის შესახებ და ა. შ.

კოლექტიური შეფასება

ფასს 9–ის შესაბამისად სადაზღვევო კომპანიებისგან და სხვა მსხვილი კონტრაჰენტებისგან მისაღები ანგარიშების გაუფასურების კოლექტიურად შეფასების მიზნით, დებიტორების პორტფელები

გადანაწილებულია სხვადასხვა რისკების კალათებში ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობის საფუძველზე. სამიდან ექვს თვემდე ვადაგადაცილება საკმაოდ ხშირი იყო კრედიტუნარიანი კონტრაჰენტების შემთხვევაში, ხოლო ექვს თვეზე მეტი ვადით ვადაგადაცილება გადახდების ისტორიაში უკვე ფინანსურ პრობლემებზე მიუთითებდა. სტატისტიკური მონაცემები ეყრდნობოდა კომპანიის შიდა მონაცემებს. შეიქმნა ხუთი ცალკეული რისკების კალათა:

ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა	ხარისხობრივი აღწერა
0–30	კარგი
31–60	კარგი
61–90	საყურადღებო
91–180	პრობლემური
181+	გაუფასურებული

ფასს 9 საწარმოს უფლებას აძლევს, მოსალოდნელი ზარალის გამოთვლისას გამოიყენოს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომა – „ანარიცხების (რეზერვების) მატრიცები“ (მაგ. მოთხოვნებისთვის), თუ იგი შეესაბამება მოსალოდნელი ზარალის შეფასების ზოგად პრინციპებს. თუმცა, ფასს 9 ასევე მოითხოვს საპროგნოზო (მომავალზე ორიენტირებული) ინფორმაციის გამოყენებას საწარმოს გაუფასურების აღიარების სქემაში.

კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება გამოიყენოს ეს ვარიანტი – ანარიცხების მატრიცები – გაუფასურების კოლექტიური შეფასების შემთხვევაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების პროცესში. როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანიამ გამოიყენა გამარტივებული მიდგომა მოთხოვნებისთვის და პირდაპირ განიხილავს ზარალს აქტივის არსებობის მანძილზე მთელი პორტფელისთვის, ანუ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აქტივის არსებობის მანძილზე აღიარებული იქნება მთლიან პორტფელზე, იმისდა მიუხედავად, საწყისი აღიარების შემდეგ მოხდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა. კატეგორიების მიხედვით ვალდებულებების ალბათობის განსასაზღვრად გამოყენებულ იქნა მიგრაციის მატრიცა. ვალდებულების შეუსრულებლობის მომენტისთვის კრედიტის ოდენობა განისაზღვრა, როგორც დებიტორის კრედიტის ოდენობის გადასახდელი ნაშთი.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავალი. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც მომავალში მოსალოდნელი ფულადი სახსრების ზუსტ დისკონტირებას ახდენს ფინანსური ინსტრუმენტის ვადაზე ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავალი აისახება მოგებაში ან ზარალში, ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში.

ამონაგები. ამონაგები წარმოადგენს კომპანიის მიერ მიღებულ ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება რეალური ღირებულებით. ამონაგების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

საქმიანობის ხასიათი:

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა კვერცხის წარმოება, შეფუთვა და რეალიზაცია ადგილობრივ და უცხოურ ბაზრებზე. პროდუქცია იყიდება როგორც საბითუმო, ასევე საცალო პარტნიორებზე (სუპერმარკეტები, დისტრიბუტორები და სხვ.).

შემოსავლის აღიარების ეტაპი:

შემოსავალი აღიარებულია იმ მომენტში, როდესაც პროდუქციის კონტროლი გადაეცემა მყიდველს. კონტროლის გადაცემა ჩვეულებრივ ხდება შემდეგ შემთხვევებში:

პროდუქციის მიწოდება შესრულებულია (ტრანსპორტირების ან მიტანის დოკუმენტით დადასტურებული);

- მყიდველმა მიიღო მფლობელობის ყველა ძირითადი რისკი და სარგებელი;
- არ არსებობს კომპანიის მხრიდან შემდგომი არსებითი ვალდებულება პროდუქციის მიმართ.

ფასდაკლებები და დაბრუნებები:

ფასდაკლებები, ბონუსები და სავარაუდო დაბრუნებები აღიარებულია როგორც შემოსავლის შემცირება იმ პერიოდში, როდესაც ისინი წარმოიშობა ან პროგნოზირებადია.

გადახდის პირობები:

მყიდველებთან დადებული კონტრაქტები, როგორც წესი, ითვალისწინებს გადახდას ნაღდი ფულით ან გადარიცხვით მიწოდებიდან 5–30 კალენდარული დღის განმავლობაში. კომპანია არ გასცემს სუბსიდირებულ საკრედიტო პირობებს.

ტრანსპორტირების ხარჯები:

თუ ტრანსპორტირების ხარჯი შედის პროდუქციის ღირებულებაში, შემოსავალი აღიარებულია სრულად მიწოდების მომენტში. იმ შემთხვევაში, როდესაც ტრანსპორტირება ხორციელდება ცალკე კონტრაქტის საფუძველზე, შესაბამისი შემოსავალი აღიარებულია მომსახურების შესრულებისთანავე.

სხვა შემოსავლები:

სხვა შემოსავლები მოიცავს პაკეტირების ნარჩენების რეალიზაციას, სასაწყობე დანიშნულების ქონების გაქირავებას და სხვა ერთჯერად ოპერაციებს. აღნიშნული შემოსავლები აღიარებულია იმ დროს, როდესაც შესრულებულია შესაბამისი მომსახურება ან დადასტურებულია აქტივის გადაცემა.

გრძელვადიანი აქტივის გაყიდვიდან მიღებული წმინდა მოგება (ზარალი) აღირიცხება ცალკე და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება არასაოპერაციო შემოსავლის (ხარჯის) სახით.

2018 წლის 1 იანვრიდან ფასს 15-ით – „ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“ დაწესდა ახალი მოთხოვნა ამონაგების აღიარებასთან დაკავშირებით, რითაც ჩანაცვლდა ბასს-18 „ამონაგები“, ბასს 11-ს – „სამშენებლო კონტრაქტები“ და სხვა რეალიზაციასთან დაკავშირებული სტანდარტები. ახალი სტანდარტი ასახავს კონტროლთან დაკავშირებული რეალიზაციის მოდელს და განმარტებას იძლევა ისეთ დეტალებზე, რაც აქამდე სხვა ფასს-ებში არ იყო. მაგალითად, ბუღალტრულად როგორ უნდა აღირიცხოს მრავალპროფილიანი ვალდებულებები, ფასების ცვალებადობა, მომხმარებლის დაბრუნების უფლებები, მომწოდებლების გამოსყიდული ოფციები და სხვა ოპერაციები.

ფასს 15- ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლის/მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ პრინციპზე დაფუძნებულ ხუთ ეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა მოდელთან ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა

- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან
- შემოსავლის აღიარება, როდესაც(ან/თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს

ფასს 15-ის მიხედვით საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე „კონტროლი“ კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორიცაა, მაგალითად შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოსავლის განმარტების ახალი მეთოდები.

ცვალებადი ანაზღაურება

თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება ცვალებად თანხასაც შეიცავს, კომპანია გამოითვლის ანაზღაურების თანხას, რომლის მიღების უფლებაც ექნება მომხმარებლისთვის მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. ცვალებადი ანაზღაურება განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებისას.

გადამუშავების (კონვერსიის) დანახარჯები მოიცავს:

- დანახარჯებს, რომელიც უშუალოდ მიეკუთვნება პროდუქციის ერთეულის წარმოებას (პირდაპირი შრომითი დანახარჯები, პირდაპირი დანახარჯები);
- მუდმივი და ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალის მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში.

მარაგების თვითღირებულების გაანგარიშების ფორმულირებისათვის კომპანია იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

გაყიდვის შემდეგ მარაგები მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, როგორც დანახარჯი იმავე პერიოდში, როდესაც აღიარდება მათი რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი.

დასაქმებულთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას

განახორციელებენ კომპანიის დასაქმებულები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები, და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიაში დასაქმებულთა მიერ.

ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოშვების შემდეგ

ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოშვების შემდეგ მოითხოვს მის დამტკიცებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ, რომლის მიერაც მოხდა გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზება.

4. სააღრიცხვო შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს ისეთ პროგნოზებსა და დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. პროგნოზები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, იმ მომავალი მოვლენების მოლოდინს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში რეალისტურად მიიჩნევა. გარდა პროგნოზებისა, ხელმძღვანელობა აკეთებს აგრეთვე შეფასებებს. ქვემოთ განხილულია ის შეფასებები და პროგნოზები, რომლებმაც პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად

გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად, ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და მორალური ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

საეჭვო ვალების რეზერვი. კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს სავაჭრო დებიტორების გაუფასურების შეფასებას. ამ პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებს და განსჯას გაუფასურების თანხის შეფასებისას იმ შემთხვევაში როდესაც დებიტორს აქვს ფინანსური პრობლემები და ამასთანავე რელევანტური ისტორიული მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. ამის მსგავსად, მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას კომპანია ეყრდნობა დაკვირვებად მონაცემებს, მათ შორის უარყოფითს რომლებიც ეხება დებიტორების ჯგუფების დონეზე გადახდისუნარიანობის გაუარესებას, ან ზოგად ეროვნულ ან საერთაშორისო ეკონომიურ პირობებს, რომლებიც კორელაციაშია ჯგუფის აქტივების გადახდისუნარიანობის სტატუსთან.

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

კომპანია პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, კომპანია აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის კომპანია აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კონტრაქტიდან მისაღები ამონაგების განსაზღვრა ხდება შეთანხმებული ფასების მიხედვით. მიწოდებული დანადგარების ან გაწეული მომსახურების საკონტრაქტო ღირებულების შეფასებისას, კომპანია წარსული

გამოცდილების საფუძველზე ითვალისწინებს ანაზღაურების მოსალოდნელ კორექტირებას. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

საპროცენტო შემოსავლები

კომპანიის მიერ მისაღები/მიღებული საპროცენტო შემოსავლები წარმოადგენს მის საფინანსო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალს.

საწარმოს უწყვეტობის პრინციპი: ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნორიზებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კოპმანია მომგებიანია. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია შენიშვნა 4-ში. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

5. ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია

ა) 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). შესწორების თანახმად, გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

კომპანიის შეფასებით ცვლილებებს არ აქვს გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში (შესწორებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში). ცვლილებები შეეხო შემდეგ მოთხოვნებს ფასს 9-სა და ფასს 7-ში:

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

- ელექტრონული გადარიცხვით ანგარიშსწორებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა;

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია

- ძირითადი საკრედიტო შეთანხმების მნიშვნელოვანი ელემენტები (მხოლოდ ძირის დაფარვა და პროცენტის შეფასება – ‘SPPI ტესტი’);

- სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ცვლიან ფულადი ნაკადების ვადებს ან სიდიდეს;

- ფინანსური აქტივი რეგრესის უფლების გარეშე;

- ინვესტიციები ხელშეკრულებით დაკავშირებულ ინსტრუმენტებში.

ახსნა განმარტებითი შენიშვნები

- ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა მთლიანი შემოსავლის ასახვით;

- სახელშეკრულებო პირობები, რომლებმაც შეიძლება შეცვალონ ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო ვადა ან მოცულობა.

ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება. წლიური გაუმჯობესება შემოიფარგლება ცვლილებებით, რომლებიც აზუსტებს ფასს სტანდარტების ფორმულირებას ან ასწორებს სტანდარტის მიერ გამოწვეულ მცირე არასასურველ შედეგებს. მცირე დაზუსტებები და გაუმჯობესება შეეხება შემდეგ სტანდარტებს: IFRS 1, IFRS 7, IFRS 9, IFRS 10 და IAS 7 (მაგალითად, ჰეჯირების აღრიცხვა, საიჯარო ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა).

ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერგიას (ადრე ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები) (ფასს 9-სა და ფასს 7-ში ცვლილებები).

ცვლილებები მოიცავს:

- „საკუთარი მოხმარების“ მოთხოვნების გამოყენების დაზუსტება;

- ჰეჯირების აღრიცხვის ნებართვა, თუ ეს ხელშეკრულებები გამოიყენება ჰეჯირების ინსტრუმენტებად; და

- ახალი ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების დამატება, რათა ინვესტორებს შეეძლოთ გააცნობიერონ ამ ხელშეკრულებების გავლენა კომპანიის ფინანსურ მაჩვენებელზე და ფულად ნაკადებზე.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან

ფასს 18 წარდგენა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში. ფასს 18, რომელიც გამოქვეყნდა ბასს-ის მიერ 2024 წლის 9 აპრილს, ასახავს მნიშვნელოვან ახალ მოთხოვნებს თუ როგორ არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, განსაკუთრებული აქცენტით შემდეგ საკითხებზე:

- მოგება-ზარალის ანგარიშგება, მათ შორის მოთხოვნები სავალდებულო შუალედური ჯამების წარდგენის შესახებ.

- ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა, მათ შორის ზოგადი პრინციპების დანერგვა, თუ როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა ფინანსურ ანგარიშგებაში.

- ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ შესრულების ზომებთან (MPMs) დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ეფექტურობის საზომებს, რომელიც ეფუძნება ფასს სტანდარტების მიერ მოთხოვნილ ჯამს ან შუალედურ ჯამს.

ფასს 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: ახსნა-განმარტებითი შენიშვნები. 2024 წლის 9 მაისს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა IFRS 19 რომელიც შესაბამის შვილობილ კომპანიებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ შემცირებული გამჟღავნების მოთხოვნები ფასს სტანდარტების აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების გამოყენებისას. საწარმოს მიერ ფასს 19-ის გამოყენების დასაშვები კრიტერიუმებია:

- საწარმო არის შვილობილი კომპანია;

- საწარმოს არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება; და

- საწარმოს ჰყავს საბოლოო ან შუალედური მშობელი, რომელიც აწარმოებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის, რომელიც შეესაბამება სრულ ფასს სტანდარტებს.

კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებულ სტანდარტს/ცვლილებებს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023

ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	20	17
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	602	1 604
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	1 408	-
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები:	**2 030**	**1 621**

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო მოთხოვნები	3 932	6 865
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	6	11
საეჭვო ვალების რეზერვი	(255)	(3 796)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:	**3,683**	**3,079**

ცვლილების დინამიკა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხში შემდეგია:

	2024	2023
1 იანვარს	3,796	3,561
გაუქმება წლის განმავლობაში	255	235
ანულირებული ანარიცხი	(3,796)	-
31 დეკემბერს	**255**	**3,796**

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი ასე გამოიყურება:

31 დეკემბერი, 2024 წ.	**ვადაგა-დაუცი-ლებელი**	**< 30**	**30–60**	**60–90**	**>360**	**სულ**
მთლიანი საბალანსო ღირებულება	3 429	349	1	1	151	**3 932**
	2%	10%	20%	50%	100%	
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	69	35	0	1	151	**255**

8. გადახდილი ავანსები

გადახდილ ავანსებს წარმოადგენს მომწოდებლებისთვის (ძირითადად დიმპორტირებულ პროდუქციის შესაძენად) გადახდილი თანხები.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გადახდილი ავანსი	1 250	286
წინასწარ გაწეული ხარჯები	3	-
სულ	**1 253**	**286**

9. მარაგები

	31.12.2024	31.12.2023
ნედლეული და მასალები	839	791
დაუმთავრებელი წარმოება	2 410	2 387
მზა პროდუქცია	62	202
სხვა მარაგი	360	89
სულ მარაგები:	**3 671**	**3 469**

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამის შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეზალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა კი აღიარდება იმ მარაგების თანხის შემცირებად, რომელიც ხარჯადაა აღიარებული პერიოდში, როდესაც მოხდა უკუგატარება.

10. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა-ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალება	სულ
ისტორიული ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	720	8 062	5 433	444	1 313	130	**16 102**
შემოსვლა		302	45	23	149		**519**
გასხვისება და ჩამოწერა	(271)				(123)		**(394)**
ისტორიული ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	**449**	**8 364**	**5 478**	**467**	**1 339**	**130**	**16 227**
დაგროვილი ცვეთა 2023 წლის 31 დეკემბრისთვის		(5 143)	(2 923)	(352)	(1 079)	(130)	**(9 627)**
დარიცხვა წლის განმავლობაში		(518)	(395)	(26)	(68)		**(1 007)**
გასხვისება და ჩამოწერა		1 842	147	14	63		**2 066**
დაგროვილი ცვეთა 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	**-**	**(3 819)**	**(3 171)**	**(364)**	**(1 084)**	**(130)**	**(8568)**
	-	-	-	-	-		
ნარჩენი ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	**720**	**2 919**	**2 510**	**92**	**234**	**0**	**6 475**
ნარჩენი ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	**449**	**4 546**	**2 307**	**103**	**255**	**0**	**7 660**

11. აქტივის გამოყენების უფლება

	მიწა და შენობები	სულ
საწყისი ღირებულება		
ბალანსი 31/12/2023	155 030	155 030
დანამატები	-	-
ბალანსი 31/12/2024	155 030	155 030
აკუმულირებული ცვეთა		
ბალანსი 31/12/2023	(99 805)	(99 805)
ცვეთა პერიოდისათვის	) (55 225)	(201,628)
ბალანსი 31/12/2024	(155 030)	(155 030)
ბალანსი 31/12/2023	**55 225**	**55 225**
ბალანსი 31/12/2024	**-**	**-**

12. საინვესტიციო ქონება

	საინვესტიციო ქონება	სულ
ისტორიული ღირებულება		
2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3 653	3 653
შემოსვლა	40	40
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3 693	3 693
აკუმულიებული ცვეთა		
2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(3 130)	3 693
პერიოდის ცვეთა	(265)	(3 130)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(3 394)	(3 394)
ნარჩენი ღირებულება		
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	523	563
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	298	298

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება 31.12.2020წ მდგომარეობით შეფასებულია დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ 688 ათას აშშ დოლარად (მიწა- 144 ათას აშშ დოლარი და შენობა-ნაგებობები 544 ათას აშშ დოლარი). ოფიციალური გაცვლითი კურსით საინვესტიციო ქონების ღირებულება 31.12.2020წ მდგომარეობით განისაზღვრა 2,254 ათას ლარად (მიწა -472 ათას ლარად და შენობა-ნაგებობები - 1,782 ათას ლარად). თავდაპირველი შეფასების შემდეგ, დამოუკიდებელმა შემფასებელმა განსაზღვრა, რამდენად იმოქმედა საინვესტიციო ქონების ღირებულებაზე საქართველოში მოქმედმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ფაქტორებმა (მ.შ „კოვიდ-19*, რუსეთ-უკრაინის ომი). 2022-2023 წლებში ექსპერტის შეფასებით აღნიშნულ გარემოებებს გავლენა არ ჰქონია 2021-2022 წლების საინვესტიციო ქონების ღირებულებაზე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონება ღირებულებით 298 ათასი ლარი (საინვესტიციო ქონების 100%) გამოყენებულია კომპანიის მიერ ბანკისგან აღებული სესხების უზრუნველყოფაში. (2023 წელს - 523 ათასი ლარი)

13. ბიოლოგიური აქტივი

	კვერცხისმდებელი ქათამი		სულ
ისტორიული ღირებულება			
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2 703		2 703
დამატება	4 613		4 613
ჩამოწერა	(4 209)	-	4 209
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3 108**		**3 108**
აკუმულიებული ცვეთა			-
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(202)	-	202
ჩამოწერის დაგროვილი ცვეთა	1 864		1 854
პერიოდის ცვეთა	(1 918)	-	1 918
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(256)	-	266
ნარჩენი ღირებულება			-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2 501**		**2 501**
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2 852**		**2 842**

14. საგადასახადო ვალდებულება

საგადასახადო ვალდებულება მოიცავს კომპანიის მიერ გადასახდელ საშემოსავლო გადასახადს, გადასახდელ/ჩათვლილ დღგ-ის გადასახადს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო ვალდებულება შეადგენს 218 ათას ლარს (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო ვალდებულება შეადგენს 169 ათას ლარს).

15. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას იმ საქონლისა და მომსახურების შეძენისთვის, რომლებიც კომპანიამ მომწოდებლებისგან შეიძინა ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო ვალდებულებების ნაშთია 1,997 ათასი ლარი (2023 31 დეკემბრის მდგომარეობით - 1,635 ათასი ლარი)

16. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას თანამშრომლების მიმართ, სახელფასო ვალდებულებას და სხვა მოკლევადიან დავალიანებას. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა ვალდებულებების ნაშთია 194 ათასი ლარი (2023 31 დეკემბრის მდგომარეობით - 153 ათასი ლარი)

17. გრძელვადიანი სესხები

	31.12.2024	31.12.2023
გრძელვადიანი სესხი	**(1 678)**	**(1 233)**
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	(82)	(489)
სულ მიღებული სესხები:	**(1,760)**	**(1,238)**

სესხის ნაშთის ცვლილებები მიმდინარე პერიოდში

	2024წ	2023წ
მიღებული სესხები წლის დასაწყისში	1 238	3 944
პერიოდის განმავლობაში მიღებული სესხები	1 673	130
დარიცხული პროცენტი	151	344
გადახდილი ძირი	(1 151)	(2 830)
თანადაფინანსებული პროცენტი	(16)	(117)
გადახდილი პროცენტი	(131)	(240)
საკურსო სხვაობა	(5)	7
მიღებული სესხები წლის ბოლოს	**1 760**	**1 238**

კომპანიის სასესხო ვალდებულებები წარმოადგენს სს „საქართველოს ბანკი“-სგან მიღებულ სესხს ლარში და აშშ დოლარში. ხელშეკრულებების მიხედვით საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია და შეადგენს წლიურად 7-14%. სესხის ვადა მერყეობს ექვსი თვიდან ექვს წლამდე.

კომპანიას სესხები მიღებული აქვს „შეღავათიანი აგროკრედიტის“ პროექტის ფარგლებში. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის განვითარების სააგენტო ახორციელებს პროექტს „შეღავათიანი აგროკრედიტი“, რომლის საშუალებით სახელმწიფო ფიზიკურ და იურიდიული პირებს სთავაზობს იაფ ფულად რესურსებზე წვდომას სესხის პროცენტის თანადაფინანსების გზით.

პროგრამა „შეღავათიანი აგროკრედიტის“ მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- შეღავათიანი აგროლიზინგი;
- ძირითადი საშუალების შეძენა;
- საბრუნავი საშუალების შეძენა.

18. კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს 13,683 ათას ლარს. 2024 წელს „კომპანიას“ გამოცხადებული და გაცემული დივიდენდი არ აქვს.

19. ამონაგები

კომპანიის ამონაგები ძირითადად წარმოადგენს კვერცხის რეალიზაციიდან მიღებულ შესამოსავალს.

	31.12.2024	31.12.2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	33 291	34 737
სხვა საოპერაციო შემოსავლები	72	(34)
სულ ამონაგები:	**33 363**	**34 703**

20. რეტრო-ბონუსები

რეტრო-ბონუსები წარმოადგენს მყიდველთან გაფორმებული ქვეფრენშაიზული ხელშეკრულების ფარგლებში კვერცხის სარეალიზაციო ფასზე წინასწარ შეთანხმებულ ფასდაკლებას, რომელიც კალენდარული წლის ჭრილში კორექტირდება მყიდველის მიერ გამოცხადებული სააქციო ფასით და საერთო შედეგებით.

	31.12.2024	31.12.2023
რეტრო-ბონუსები	7 131	7 062
სულ:	**7 131**	**7 062**

21. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	31.12.2024	31.12.2023
საკვების, მოვლა-შენახვის ხარჯი	14 359	13 097
წარმოებაში გამოყენებული ძირითადი საშუალეების ცვეთა	434	855
კომუნალური ხარჯი	438	528
პირდაპირი ხელფასი	1 774	870
სხვა სოპერაციო ხარჯი	753	2 208
სულ	**17 758**	**17 558**

22. გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები

გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები ძირითადად მოიცავს პროდუქტის რეალიზაციისთვის საჭირო ლიცენზიის საკომისიოს (როიალტს) და მარკეტინგულ მომსახურებას.

	31.12.2024	31.12.2023
ტრანსპორტირების ხარჯები	101	-
მიწოდების სხვა ხარჯები	44	93
სულ:	**145**	**93**

23. საოპერაციო ხარჯები

	31.12.2024	31.12.2023
იჯარა	92	199
ავტომობილის მოვლა შენახვა	220	101
შრომის ანაზღაურება	2 455	3 716
საწვავის ხარჯი	493	509
კომუნალური ხარჯი	26	20
რემონტის ხარჯი	37	39
საოფისე ხარჯი	24	31
სამეურნეო ხარჯი	16	17
სხვა საერთო ხარჯი	886	646
Total	**4 249**	**5 278**

24. ფინანსური ხარჯები

	31.12.2024	31.12.2023
საპროცენტო ხარჯი	147	199
სულ:	**147**	**199**

25. სხვა არასოპერაციო შემოსავალი

	31.12.2024	31.12.2023
შეღავათიანი სესხიდან შემოსავლები	68	
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მოგება	21	
ფინანსური შემოსავალი	74	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	2 378	16
სულ	**2 541**	**16**

შეღავათიანი სესხებიდან შემოსავალი წარმოადგენს სახელმწიფო გრანტს. „შეღავათიანი აგროკრეტიდის“ პროექტის ფარგლებში კომპანიამ 2024 წელს მიიღო სესხების პროცენტის ნაწილის ანაზღაურება. ააიპ

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო სუფსიდირებას ახორციელებს ბენეფიციარის მიერ გადახდილი თანხის პარალელურად.

26. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

27. დივიდენდი

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად და აკლდება მფლობელთა კაპიტალს მათი გამოცხადების და დამტკიცების პერიოდში. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნებში.

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას არ აქვს გამოცხადებული ან გაცემული დივიდენდი.

28. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- სავალუტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

კომპანია საოპერაციო საქმიანობის ნაწილში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, საიჯარო ვალდებულებებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის

ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	**31.12.2024**	**31.12.2023**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2 030	1 621
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3 683	3 365
სულ ფინანსური აქტივები	**5 713**	**4 986**
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1 997)	(1 635)
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	(82)	489
გრძელვადიანი სესხები	(1 678)	(748)
საიჯარო ვალდებულება	-	(59)
სულ ფინანსური ვალდებულებები	**(3 757)**	**(1 953)**

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა კომპანიას და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის სამართლიან ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, კომპანია სამართლიან ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის სამართლიანი ღირებულება.

თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და სამართლიანი ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება

შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის.

ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

კომპანია ადგენს სამართლიან ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით, რომელიც ასახავს შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: არათვალსაჩინო მონაცემები. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის. დასრულებული წლებისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში. ფული და ფულის ეკვივალენტების სამართლიანი ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით.

კაპიტალის მართვა

კომპანია კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს (გარდა ნაღდი ფულისა). კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: პაციენტთა დაფინანსებას ახორციელებს სახელმწიფო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, იურიდიული პირი თუ ფიზიკური, წარსულში ფინანსური სიძნელეების არსებობას. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია ახორციელებს ფინანსური აქტივების დარეზერვებას ფასს 9-ის - „ფინანსური ინსტრუმენტები“ მოთხოვნების შესაბამისად. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-3 განმარტებითი შენიშვნა.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ ლარში
ფინანსური აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	622	1 408	-	2 030
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3 683	-	-	3 683
გადახდილი ავანსები	380	58	844	1 282
სულ:	**4 685**	**1 466**	**844**	**6 995**
ფინანსური ვალდებულებები		-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1 095	-	-	1 095
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	82	-	-	82
გრძელვადიანი სესხები	1 678	-	-	1 678
საიჯარო ვალდებულება		-	-	-
გადასახდელი დივიდენდი		-	-	-
სულ:	**2 855**	**-**	**-**	**2 855**
სავალუტო პოზიცია უცხოურ ვალუტაში	1 830	1 466	844	4 140

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ ლარში
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	284	-	-	284
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3 676	-	-	3 676
სულ:	**3 960**	**-**	**-**	**3 960**
ფინანსური ვალდებულებები	-	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2 753	21	46	2 820
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	97	-	-	97
გრძელვადიანი სესხები	3 822	188		4 010
საიჯარო ვალდებულება	59	-	-	59
გადასახდელი დივიდენდი	-	-	-	-
სულ:	**6 731**	**209**	**46**	**6 986**
სავალუტო პოზიცია უცხოურ ვალუტაში	**(2 771)**	**(209)**	**(46)**	**(3 026)**

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. კომპანია ახდენს ლიკვიდურობის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

	ლარი/აშშ დოლარი 20%	ლარი/აშშ დოლარი -20%	ლარი/ევრო 20%	ლარი/ევრო -20%
მოგება/ზარალი	282	(282)	-	-

2023 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

	ლარი/აშშ დოლარი 20%	ლარი/აშშ დოლარი -20%	ლარი/ევრო 20%	ლარი/ევრო -20%
მოგება/ზარალი	-	-	-	-

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებაზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულების თანხა მთელი წლის განმავლობაში დაუფარავი იყო. 100 საბაზისო ერთეულის გაზრდა (100 საბაზისო ერთეული შეესაბამება 1 პროცენტიან ცვლილებას) ან შემცირება ხდება საპროცენტო განაკვეთის რისკის შიდა ანგარიშგებისას უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების შეფასებას, გონივრულობის ფარგლებში:

	31.12.2024		31.12.2023	
	ზრდა 1%-ით	შემცირება 1%-ით	ზრდა 1%-ით	შემცირება 1%-ით
მოგება/ზარალი	-	-	-	-

ზემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ერთი ცვლადის ცვლილებას იმ დაშვებით, რომ სხვა ცვლადები დარჩება უცვლელი.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

კომპანია ახდენს ლიკვიდურობის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს. ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რაც უთითებს

ხელშეკრულების მიხედვით დარჩენილ მთლიან დაუდისკონტირებელ გადახდებს საპროცენტო დავალიანებების ჩათვლით.

	1 წლამდე	1-დან 2 წლამდე	2-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,997	-	-	-	**1,997**
სულ 2024	**1,997**	**-**	**-**	**-**	**1,997**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,635	-	-	-	**1,635**
სულ 2023	**1,635**	**-**	**-**	**-**	**1,635**

29. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების შესახებ - დაკავშირებულ მხარეთა ოპერაცია არის რესურსების, მომსახურების ან ვალდებულებების გადაცემა ანგარიშვალდებულ საწარმოსა და დაკავშირებულ მხარეს შორის, მიუხედავად იმისა, მოითხოვება თუ არა თანხის გადახდა. თუ საწარმოს გააჩნია დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები, მან უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობების ხასიათის, ასევე ამ ოპერაციების, დაუფარავინაშთებისა და ვალდებულებების შესახებ, რაც აუცილებელია ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ურთიერთობის პოტენციური გავლენის გასაგებად.

2023-2024 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია ხარჯად აღიარებული	**31-Dec-24**

ხელფასი	**125**

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია ხარჯად აღიარებული	**31-Dec-23**
ხელფასი	248
კრედიტორული დავალიანება	**355**

30. ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2025 წლის 5 ნოემბერს ხელმძღვანელობის მიერ. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდის მოვლენები არ წარმოადგენს მაკორექტირებელ მოვლენებს, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ან შემოსავალზე, ხარჯებსა ან ფულადი სახსრების მოძრაობაზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

ბალანსის შედგენის შემდგომ არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს "დილის პროდუქტების" 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითდა ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მმართველობითი ანგარიშგება/საქმიანობის მიმოხილვა

ზოგადი ინფორმაცია

შპს „დილის პროდუქტები“ (204516194) დაფუძნდა 2006 წლის 31 აგვისტოს. 31.12.2024 თ რლისთ ის კომპანიის მესაკუთრეებს წარმოადგენენ -ა) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება გრანდის თრეიდინგ , OC322883/დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო - 47,5%; ბ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება პოულტრი ინვესტმენტ გრუპ, 193434, სეიშელის კუნძულები - 52,5%. 2025 წლის 14 ივნისის მდგომარეობით - კომპანიის 100% წილის მფლობელად ფიქსირდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება პოულტრი ინვესტმენტ გრუპ, 193434, სეიშელის კუნძულები, რომლიც საბოლოო ბენეფიციარებად გვევლინებიან - ნაზი ლიპარტელიანი (პ/ნ 01022005043) – 50% და პაატა დუშუაშვილი (35001000172)- 50%.

ინფორმაცია ბიზნესის შესახებ

შპს „დილის პროდუქტები“-ის ძირითადი საქმიანობაა ქათმის კვერცხის წარმოება და მისი დისტრიბუცია საქართველოს მაშტაბით როგორც ქსელურ მარკეტებში ასევე HoReCa სექტერის სხვა წარმომადგენლებში.

კომპანიის საქმიანობა შეიძლება დაიყოს 2 ძირითად კატეგორიად:

- წარმოება: რაც გულისხმობს იმპორტირებული 1 დღიანი წიწილის შემოყვანას და მის გაზრდას მეკვერცხული ასაკის ფრინველამდე და შემდგომ კვერცხის დების ციკლში გადაყვანას. კვერცხის წარმოების შემდგომ ხდება დახარისხება, შეფუთვა, ეტიკეტირება, დათარიღება, ხარისხის კონტროლი და დასაწყობება.
- კომპანიის მეორე მიმართულება მოიცავს წარმოებული კვერცხის დისტრიბუციას შესაბამის ლოკაციებსა თუ რეგიონალურ საწყობებში, რისთვისაც კომპანია იყენებს საკუთარ საკუთრებაში არსებულ ავტოპარკს.

კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტი მოიცავს ძირითადად თეთრ კვერცს (რომელიც იშლება სხვადასხვა კატეგორიებად) და შედარებით მცირე მოცულობით წითელ კვერცხს. წარმოებული პროდუქცია დაყოფილია როგორც თავად პროდუქციის კატეგორიის მიხედვით მაგ: M-0; M-1: M-2 და ასე შემდეგ ასევე შეფუთვის სახეობის მიხედვით - მუყაოს შეფუთვა, ფირფიტა და ა.შ.

ბიზნესის განვითარება

კომპანიის საწარმო განთავსებულია სოფელ კოდაში, თეთრიწყაროს რაიონში. კომპანიის ჯამურ მფლობელობაშია 500 000 მ2 მეტი მიწის ნაკვეთი (7 დამოუკიდებელი ნაკვეთი). საწარმოო ინფრასტრუქტურა განთავსებულია 318 278,00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 84,05,31,000,194). ამ ეტაპისთვის კომპანიის საწარმოო ინფრასტრუქტურა მოიცავს

- 10 საფრინველე მოდულს - ჯამურად 450 000 ფრთაზე გათვლილი

- 3 წიწილის გამოსაზრდელ მოდულს - ჯამში 130 000 ფრთაზე გათვლილი

დასაწყობების და დისტრიბუციისთვის კომპანი იყენებს

- 4 ძირითად საწყობს - საწყობი ლილო, ცენტრალური საწყობი, და ორი რეგიონალური საწყობი ქუთაისსა და ბათუმში
- 30 -მდე სადისტრიბუციო მიკრო ავტობუს (მათ შორის რეფრეჟერატორს) რომლითაც უზრუნველყოფილია პროდუქციის დისტრიბუცია მთელი საქართველოს მაშტაბით.
-

კონკურენცია

კვერცხის წარმოება ერთ-ერთი კონკურენტული ინდუსტრიაა სადაც მრავლად არიან წარმოდგენილი როგორც მსხვილი ადგილობრივი მწარმოებლები (შპს პოულტრი ჯორჯია; შპს კუმისი; შპს სავანეთი; შპს საგარეჯო და აშ.) ასევე შედარებით მცირე ზომის საფრინველეები (ძირითადად რეგიონებში) რომლებიც აქტიურ კონკერუნეციაში არიან ერთმანეთთან. ამასთანავე კონკურენტულ გარემოს კიდევ უფრო ზრდის შედარებით დაბალხარისხიანი იმპორტირებული კვერცხი (ძირ. იმპორტიორად გვევლინება თურქეთი) .

აღსანიშნავია რომ იმპორტირებულ პროდუქციასთან კონკურენციის გაწევა ნებისმიერი ადგილობრივი მწარმოებლისთვის არის საკმაოდ რთული და ამ სიტუაციას კიდევ უფრო აუარესებს ის ფაქტი რომ კვერცხი რჩება ერთდაერთ სოფლის მეურნეობის წარმოებულ პროდუქციად რომელის პირველადი წარმოება და რეალიზაცია არ არის გათავისუფლებული დღგ-ს დაბეგვრისგან.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შესახებ

2024 წლის პერიოდში კომპანიას არ განუხორციელებია საკუთარი აქციების შესყიდვის ოპერაცია.

ზოგადი ინფორმაციის ფულადი ნაკადების მოძრაობის, ლიკვიდობის და საკრედიტო რისკების მიმართულებით.

კომპანია ფულადი სახსრების მიმართულებით ძირითადად დამოკიდებულია საკუთარ კაპიტალზე. კომპანიას აქვს საკმარისი მიმდინარე აქტივები იმისათვის რომ სრულყოფილად მოემსახუროს

მიმდინარე ვალდებულებებს. საბანკოროსურს კომპანია ძირითადად დაყენებს გრძელვადიანი აქტივების (წიწილა ან მანქანა დანადგარების) შესაძენად საბრუნავი საშუალებების დასაფინანსებლად კომპანია არსაჭიროებს საკრედიტორესურსებით დაფინანსებას. აღსანიშნავია რომ ძირითადი საშუალებების დასაფინანსებლად კომპანია დაქტორინგს იყენებს შედარებით დაფინანსების პირობებს რაც მნიშვნელოვნად ხელს უწყობს საპროცენტო განაკვეთის შემცირებას.

სეზონურობა

გამომდინარე იქიდან რომ კვერცხი წარმოადგენს პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტს , მოთხოვნას მის მიმართ ახასიათებს სტაბილური ხასიათი მთელი წლის განმავლობაში თუმცა ყველაზე მოთხოვნად პერიოდად შეცალსახად შეიძლება გამოიყოს სააღდგომო და ახალი წლის პერიოდი და შედარებით ნაკლები მოთხოვნის პერიოდად იანვრის თვე და ზაფხულის პერიოდი. .

ბიზნეს მოდელი



ზოგადი გარემო და გარე ფაქტორების ზემოქმედება კომპანიის ოპერაციებზე

ძირითადი ფაქტორები მაკროეკონომიკურ გარემოში, რომლებსაც გააჩნიათ ან შეიძლება იქონიონ გავლენა კომპანიის საქმიანობაზე არის:

ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში - საქართველოს ეკონომიკა პირდაპირ გავლენას ახდენს კომპანიის ოპერაციებზე. ქვეყანაში მომხდარმა ეკონომიკურმა ცვლილებებმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს მომხმრებელთა ქცევაზე და შესაბამისად იმოქმედონ პროდუქციაზე მოთხოვნის დონეზე. როდესაც საქართველოს ეკონომიკა განიცდის რეცესიას, როგორც წესი, კლებულობს მომხმარებლების მხრიდან მოთხოვნა ელექტრო საქონელზე და აქცენტირება გადადის ძირითადი მოხმარების საქონელზე, რაც შედარებით იაფია.

გაცვლითი კურსის ცვლილება - კომპანიის ძირითადი ოპერაციები მიმდინარეობს იმპორტირებულ საქონელზე, რომელთა შეძენაც ხდება უცხოურ ვალუტაში (ძირითადად აშშ

დოლარში), მაშინ როდესაც ამ საქონლის გაყიდვა ადგილობრივ მომხმარებლებზე ხდება ლარში (თუმცა სარეალიზაციო ფასი ნომინირებულია აშშ დოლარში). აქედან გამომდინარე, სხვადასხვა უცხოური ვალუტის მიმართ ლარის გაცვლითი კურსის ცვლილება გავლენას ახდენს მომხმარებელთა მოთხოვნაზე, რაც შემდგომ აისახება ოპერაციულ შედეგებზე. ლარის კურსის გაუფასურება ასევე ასახვას ჰპოვებს კომპანიის ბალანსზე, ვინაიდან საბანკო სესხების უმეტესობა ნომინირებული აშშ დოლარში ყოველთვიურად კურსის ცვლილების გამო კომპანის უფიქსირდება სოლიდური საკურსო სხვაობის შედეგად გამოწვეული ზარალი.

ფინანსირების ხელმისაწვდომობა - ალტერნატიული საფინანსო სახსრების მოძიების პრობლემა (გარდა საბანკო კრედიტებისა). საბანკო რესურსის მაღალი საპროცენტო განაკვეთი და ხელმისაწვდომობის პრობლემა.

კონკურენცია - იმ ბაზრების უმეტესობას, რომლებშიც კომპანია ოპერირებს, ახასიათებთ მძაფრი კონკურენცია, რაც ამავდროულად აისახება დაბალ მარჟაზე.

სამომავლო გეგმები

კომპანიის სამომავლო გეგმები ძირითადად სამ მიმართულებაზა აქცენტირებული:

1) წარმადობის ზრდა
2) პროცესების ოპტიმიზაცია და მაქსიმალურად ავტომატიზაციისკენ სწრაფვა, რაცგულისხმობს ძირითად საშუალებებში ინვესტიციების განხორციელების გზით როგორც პროდუქციის ხარისხობრივი ასე ეკენომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას.
3) მზადება ევროპული სტანდარტის საფრინველლებზე გადასვლისთვის რაც საკონონმდებლო დონოეზე არის დარეგულირებული
4) კომპანიამ 2023 წლის განმავლობაში არაერთი შიდა კვლევა ჩაატარეა რის ძირითად მიზანსაც ემსახურება ინოვაციების და ოპტიმიზაციების დანერგვა საწარმოო პროცესში. 2023 წელს ჩატარებული კვლევების საფუძველზე მოხდა 2024 წლისთვის შემდეგი მიმართულებების განვითარების დაგეგმვა: კვერცხის სარეცხი აპარატის დადგმა (პროდუქციის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა); სასაწყობე მეურნეობის მოდერნიზაცია/გაფართოება; კვერცხის დასახარისხებელი დანადგარის შეძენა (საწარმოს ავტომატიზაციის პროცესის ელშეწყობა)

წარმატების კრიტიკული ფაქტორები

არსებობს რამოდენიმე წარმატების კრიტიკული ფაქტორი, რომლებზეც დაფუძნებულია კომპანიის წარმატება. ესენია:

(ა) მოწესრიგებული საწარმოო ინფრასტრუქტურა და ლოჯისტიკური ცენტრი.

(ბ) მომწოდებლებთან გრძელვადიანი სტრატეგიული პარტნიორობის ჩამოყალიბება და შენარჩუნება;

(გ) გრძელვადიანი სტრატეგიული ურთიერთობების დამყარება მომხმარებლებთან და ამ ურთიერთობების შენარჩუნება სამართლიანობის და სანდოობის საფუძველზე;

(დ) ბრენდის სიძლიერე (საკუთარი სავაჭრო ნიშნის ჩათვლით) - პროდუქციის ვიზუალური მხარე და მისი დიზაინი ძლიერ ზეგავლენას ახდენს მომხმარებლის მიერ მისი შეძენის გადაწყვეტილებაზე და შესაბამისად, ფულის დახარჯვა პროდუქტის იმიჯში, სხვა ფაქტორებთან ერთად, მისი რეკლამირება და მიმზიდველი დიზაინის შექმნა კრიტიკულად მნიშვნელოვანია მათი გაყიდვებისათვის;

(ე) უმაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოება

რისკ-ფაქტორების მიმოხილვა

კომპანიის ოპერაციები დაკავშირებულია გარე რისკებთან, რომელთა რაოდენობის დადგენაც შეუძლებელია და რომლებსაც შეუძლიათ გავლენა იქონიონ კომპანიის ოპერაციებზე მატერიალური კუთხით. ეს რისკები მოყვანილია ქვემოთ:

კომპანიის წინაშე არსებული რისკები	
ფრინველის საკვებზე ფასის მერყეობა	კომპანიის საქმიანობაზე დიდი გავლენას ახდენს ფრინველის საკვებზე (რომელიც პროდუქციის თვითღირებულების შემადგენელ ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს). ყველა საკვები ინგრედიენტი (სიმინდი, ხორბალი, სოიოს და მზესუმზირის შროტი, ზეთი) რომელიც გამოიყენება რეცეპტურაში იმპორტირებულია საქართველოში შესაბამისად საერთაშორის ბაზრებზე ფასის ცვლილებამ ან საექსპორტო კვოტების თუ შეზღუდვების დაწესებამ შესაძლებელია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს პროდუქციის თვითღირებულების ნაწილზე.
ფასწარმოქმნა და მარაგების შესყიდვა	შეცდომები ფასწარმოქმნაში - პროდუქციის არასწორმა ფასწარმოქმნამ („გაზრდა“ /

	“შემცირება“) შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს კომპანიის ბიზნეს შედეგებზე. არასწორმა ფასწარმოქმნამ შესაძლოა მყისიერად იმოქმედოს გაყიდვებზე, რენტაბელობაზე და ზოგიერთ შემთხვევაში კომპანიის რეპუტაციაზეც კი. შესყიდვის პირობები - შესყიდვის განხორციელება არასტაბილურ საბაზრო პირობებში.
დარგობრივი რისკები	
კონკურენცია	აღნიშნულ სფეროში არსებული მძაფრი და უწყვეტი კონკურენცია შესაძლოა უარყოფითად აისახოს ფასებზე და აქედან გამომდინარე კომპანიის რენტაბელობაზეც. ბაზარზე იმპორტირებული პროდუქციის შემოსვლა დემპინგურ ფასად ყოველგავარი კვოტის გარეშე შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანის მომტანი იყოს კომპანიის საქმიანობისთვის.
საკანონმდებლო რეგულაციები	ცვლილებები რომლებიც ემსახურება აღნიშნული დარგის ევროპულ სტანდარტზე გადაყვანას დაკავშირებულია სოლიდურ ინვესტიციებთან ძირითადი საშუალებების მიმართულებით და ასევე გამოიწვევს წარმოების სტრუქტურის ცვლილებას რაც პირდაპირ აისახება რენტაბელობასა და გაზრდილ თვითღირებულებაში რამაც შესაძლოა კიდევ უფრო წამგებიან პოზიციაში ჩააყენოს ადგილობრივად წარმოებული პროდუქცია იმპორტირებულთან მიმართებაში.
პრობლემები მარაგებთან დაკავშირებით	მარაგების შესყიდვა დამოკიდებულია გაყიდვების მიზნებზე; შეკვეთებში არსებულმა შეცდომებმა შესაძლოა გამოიწვიოს მარაგების სიჭარბე (ჭარბი ხარჯები) ან მარაგების სიმწირე (შემოსავლის დაკარგვა). გადაზიდვასთან დაკავშირებული პრობლემა - აღნიშნული დარგი

	დამოკიდებულია მომწოდებლიდან მარაგების ტრანსპორტირებაზე, ხარისხზე, რაოდენობაზე და გრაფიკზე. მარაგების დეფიციტი - დარგი დამოკიდებულია მომწოდებლებზე. მომწოდებლის მიზეზით შექმნილმა მარაგების დეფიციტმა შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის შედეგებზე.

მაკროეკონომიკური რისკები	
ფინანსური რისკები	ფინანსურ რისკებში შეიძლება შედიოდეს: ლარის გაცვლითი კურსის რყევა დოლარისა და ევროს მიმართ, საპროცენტო განაკვეთების ცვლილება, ინფლაციის ზემოქმედება და ა.შ.
ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში	კომპანიის რენტაბელობაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ბანკის რეგულაციებმა, ისევე როგორც საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ და განვითარების პოლიტიკამ. კომპანიის გაყიდვებზე შესაძლოა გავლენა იქონიოს ადგილობრივი ეკონომიკური აქტივობის შენელებამ. მოსახლეობის შემცირება - ბოლო წლებში ფიქსირდება მოსახლეობის რაოდენობის შემცირება (4.5 მილიონიდან 3.7 მილიონამდე), შესაბამისად, გადაანგარიშების შედეგად გაიზარდა მშპ ერთ სულ მოსახლეზე. სამომავლოდ, მოსახლეობის შემცირებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის საქმიანობის შედეგებზე.

გარე ფინანსირების შეზღუდვა მომხმარებლებისათვის - ფინანსების ხელმისაწვდომობა	ამჟამად, კომპანიის კლიენტთა უმეტესობა შესყიდვებს ბანკის მიერ გაცემული კრედიტების მეშვეობით ახორციელებს. კლიენტთა ფინანსირების შეზღუდვის შემთხვევაში კომპანიის გაყიდვების მოცულობა რისკის ქვეშ დადგება.
გადაზიდვების ინდუსტრია	კომპანიის შედეგებზე ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს ტარიფების ან/და საწვავის ფასების მატების შედეგად გადაზიდვების გაზრდილმა ხარჯებმა, ისევე როგორც პორტის გაფიცვებმა.
გადასახადები და სამთავრობო ინტერვენცია	ეროვნული და მუნიციპალური გადასახადების ცვლილების შედეგად შესაძლოა მოიშალოს კომპანიის რენტაბელობა. გარკვეულწილად, ამან შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის მოგებაზე და მოთხოვნაზე მომხმარებელთა მხრიდან.

შპს „დილის პროდუქტები“- ს

დირექტორი გივი ლობჟანიძე

გარე ფინანსირების შეზღუდვა მომხმარებლებისათვის - ფინანსების ხელმისაწვდომობა	ამჟამად, კომპანიის კლიენტთა უმეტესობა შესყიდვებს ბანკის მიერ გაცემული კრედიტების მეშვეობით ახორციელებს. კლიენტთა ფინანსირების შეზღუდვის შემთხვევაში კომპანიის გაყიდვების მოცულობა რისკის ქვეშ დადგება.
გადაზიდვების ინდუსტრია	კომპანიის შედეგებზე ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს ტარიფების ან/და საწვავის ფასების მატების შედეგად გადაზიდვების გაზრდილმა ხარჯებმა, ისევე როგორც პორტის გაფიცვებმა.
გადასახადები და სამთავრობო ინტერვენცია	ეროვნული და მუნიციპალური გადასახადების ცვლილების შედეგად შესაძლოა მოიშალოს კომპანიის რენტაბელობა. გარკვეულწილად, ამან შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის მოგებაზე და მოთხოვნაზე მომხმარებელთა მხრიდან.

შპს „დილის პროდუქტები“- ს

დირექტორი გივი ლობჟანიძე